# კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ტურიზმის სკოლა

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | |
| | სამაგისტრო პროგრამა ტურიზმის მენეჯმენტში |

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე** | |
| | Master Program in Tourism Management |

| | |
|---|---|
| **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური** | |
| | მაგისტრატურა |

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | |
| | აკადემიური პროგრამა |

| | |
|---|---|
| **სწავლების ენა** | |
| | საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | |
| **ქართულად:** | ტურიზმის მაგისტრი |
| **ინლისურად:** | Master of Tourism |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | კავკასიის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დოქტორი მანანა ვასაძე |

| | |
|---|---|
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | |

სამაგისტრო პროგრამა ტურიზმის მენეჯმენტში მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – არანაკლებ 25 ECTS და არაუმეტეს 35 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ოპტიმალური ვადა შეადგენს 2 წელს.
სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრი, მოიცავს 21

კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 42 კვირაზე. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის 8 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი.
1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, კვლევითი პრაქტიკა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.
სამაგისტრო პროგრამა ტურიზმის მენეჯმენტში მოიცავს სასწავლო დარგობრივ სავალდებულო კომპონენტს 70 ECTS კრედიტის მოცულობით და დარგობრივ არჩევით სასწავლო კურსებს 24 ECTS კრედიტის მოცულობით (შეთავაზებული 36 ECTS კრედიტიდან); ასევე პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს 20 ECTS კრედიტის მოცულობით: სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 20 ECTS კრედიტი. პროგრამის შემადგენელი ნაწილია ასევე სავალდებულო საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი 6 ECTS კრედიტის მოცულობით.
სამაგისტრო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე მაგისტრანტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 6 სემესტრი) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.
ტურიზმის სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით საგნების ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება: სავალდებულო 70% და არჩევითი 30%.

| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | |
|---|---|

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:
ა) მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს "სამაგისტრო გამოცდების ჩატარებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებისა და სამაგისტრო პროგრამაზე მიღების საუნივერსიტეტო წესს (უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდებს ***ტურიზმი, ინგლისური ენა B2)*** ან,
ბ) მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს.

| **პროგრამის მიზანი** | სწავლის მიზანია მაღალი ხარისხით, შედეგზე ორიენტირებული სწავლება, თეორიული და პრაქტიკული საქმიანობების ოპტიმალური თანაფარდობით, სასტუმრო მიმართულების აქცენტირებით. ასევე, სტუდენტისათვის თეორიულ და კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ ცოდნის მიცემა; ამავდროულად პროგრამის მიზანია ტურისტული ბიზნესის, სასტუმრო ინდუსტრიის და ტურისტული ორგანიზაციების საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვისა და ტურიზმის მიმართულებით თეორიულ და კვლევაზე დაფუძნებული ცოდნის მიცემა; ამასთანავე, „ტურიზმის მაგისტრის" აკადემიური ხარისხის მაღალი მოქალაქეობრივი, ინდივიდუალური თვისებებისა და დემოკრატიული აზროვნების მქონე პიროვნების ფორმირება, რომელიც დასაქმდება ტურიზმის ბიზნესის და სასტუმრო ინდუსტრიის სხვადასხვა სფეროში მმართველობით, წამყვან პოზიციებზე; კურდამთავრებულთა დასაქმების ხელწმყობა.<br>კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მიანიჭოს თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა და მოამზადოს იგი ადგილობრივი და საერთაშორისო შრომით ბაზრებზე ლიდერი პოზიციების დასაკავებლად, როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომელიც სტუდენტებს მისცემს მაღალი ხარისხის განათლებასა და ცოდნას და გამოუმუშავებს უნარებს შემდეგი მიმართულებებით: მდგრადი ტურიზმის პოლიტიკა და დაგეგმვა; ტურისტული ბიზნესის მართვა და ოპერირება; ტურიზმის ინდუსტრიის კვლევა და პროგნოზირება; თანამედროვე საინფორმაციო, ელექტრონული და საოპერაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების გამოყენება |
|---|---|

| | |
|---|---|
| | ტურიზმში.<br>სამაგისტრო პროგრამის განმავლობაში გამოიყენება უახლესი თანამედროვე ლიტერატურა, ხოლო ლექციები მიყავთ ტურიზმის ინდუსტრიის წამყვან სპეციალისტებსა და პროფესორებს. კავკასიის ტურიზმის სკოლის პარტნიორებია მსოფლიოს წამყავნი საერთაშორისო უნივერსიტეტები და ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი კერძო და საჯარო ორგანიზაციები. |
| **პროგრამის სწავლის შედეგი** | პროგრამის სტრუქტურის სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკის კომპონენტები საშუალებას იძლევა სტუდენტებს ტურიზმის სფეროში მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, გაუღრმავოს ანალიტიკური აზროვნება და გააძლიეროს მისი პრაქტიკული უნარები ტურისტული ორგანიზაციის მართვისას სტრატეგიული დაგეგმვის საწარმოებლად და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:<br><br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>კურსდამთავრებულს აქვს ტურიზმის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, კერძოდ, სიღრმისეულად იცის:<br>• ტურიზმის პოლიტიკის ინსტრუმენტები, ტურიზმის მარკეტინგის, ტურიზმისა და გარემოს მენეჯმენტის, ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვის საკვანძო საკითხები;<br>• საერთაშორისო ტურიზმის თეორიული საფუძვლები; ტურიზმის განვითარების თავისებურებები სხვადასხვა ქვეყნებში, საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები;<br>• ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორებიც არის: მარკეტინგის მენეჯმენტი, მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმები, კვლევის მეთოდები.<br><br>**აცნობიერებს:**<br>• ტურიზმის პოლიტიკის, ტურისტული ორგანიზაციების მართვის პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს;<br>• თავისი პროფესიის არსსა და სოციალურ მნიშვნელობას ქვეყნისა და რეგიონის განვითარებისთვის, ტურიზმის პროფესიული საქმიანობის მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>• ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;<br>• ტურიზმის სფეროს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება;<br>• უახლესი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება;<br>• ტურისტული პროდუქტების, პროცესებისა და მომსახურების შექმნა და განვითარება მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად და ქვეყნის შიგნით წარმატებული ტურისტული მიმართულებისა და ინფრასტურქტურის გასავითარებლად;<br>• ტურისტული ბიზნესის და პროექტების ეფექტური მართვა და ოპერირება თანამედროვე მენეჯმენტ კონცეფციების გამოყენებით;<br>• საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიის განვითარება და იმპლემენტაცია;<br>• საერთაშორისო მიზნობრივი ბაზრების პოტენციალის შეფასება და განსაზღვრა;<br>• ტრადიციული და ელექტრონული-მარკეტინგის მეთოდების გამოყენება ტურისტული ბიზნესის მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბებისთვის; |

- ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- კორპორატიული ორგანიზაციული ქცევის დანერგვა;
- მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება;
- ქვეყნის ტურისტული რესურსების სწორი გამოყენება ტურისტული პროდუქტების განვითარებისთვის;
- ტურიზმის ინდუსტრიის სიღრმისეული კვლევა სწორი პროგნოზებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად;
- სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება;
- ახალი ტურისტული პროდუქტის დემონსტრირება;
- კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება;
- მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და დამოუკიდებლად მათი ეფექტური გადაჭრა, ტურისტული პრინციპების გამოყენება სხვადასხვა საკითხების მიმართ;
- კურსდამთავრებულს ათვისებული აქვს და იცავს ტურიზმის ეთიკის სტანდარტებს კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას;
- შეუძლია მცირე ჯგუფების ხელმძღვანელობა ტურისტული პროექტების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

**დასკვნის უნარი**

- კურსდამთავრებულს შეუძლია მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო  რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და ახალი ინფორმაციის ეფექტურად გამოყენების გზების დასახვა;
- კურსდამთავრებულს აქვს ტურისტული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი, შეუძლია ერთი და იგივე მოვლენის, ფენომენის თუ კონცეფციის სხვადასხვა (თეორიული თუ დარგობრივი) კუთხიდან დანახვა – გაანალიზება, ინფორმაციის შემადგენელ ნაწილებად დაშლა და დასმული ამოცანის (პრობლემის) შესაბამისი სინთეზი;
- აქვს პრობლემის გადაჭრისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი, შეუძლია დასმული პრობლემის გადასაწყვეტად სხვადასხვა წყაროდან (ბიბლიოთეკა, ინტერნეტ-რესურსები) შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება დამუშავება და ადეკვატური გამოყენება.

**კომუნიკაციის უნარი**

- ტურიზმის სფეროში მოლაპარაკებებისა და ბიზნეს შეხვედრების წარმატებულად ჩატარებისთვის ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაცია;
- კურსდამთავრებულს  შეუძლია მონაწილეობის მიღება ტურისტული თემებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში, კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- პროფესიულ საზოგადოებასთან მოლაპარაკების წარმოება და თავისი მოსაზრებებისა თუ შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება-დაფიქსირება;
- შეუძლია ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაციისათვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- აქვს შეხვედრებში, დისკუსიებსა და დებატებში ეფექტური მონაწილეობისა

| | |
|---|---|
| | და მათი წარმართვის უნარი.<br><br>**სწავლის უნარი**<br>• კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებათა გაცნობიერება და ამ პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვა;<br>• კურსდამთავრებულს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს სწავლის პროცესი;<br>• შეუძლია პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება;<br>• ამა თუ იმ მიმართულებით დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება;<br>• მის წინაშე არსებული პრობლემის ღრმა და საფუძვლიანი გააზრება და მისი დაძლევა-გადალახვის ქმედითი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>• ჯგუფის დანარჩენი წევრების კომპეტენციისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით სათანადო სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება;<br>• საკუთარი სწავლისა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება;<br>• აქვს სწავლის, კვლევის, პროექტის შემუშავებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.<br><br>**ღირებულებები**<br>• კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;<br>• აქვს ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება;<br>• პატივს სცემს სხვათა აზრსა და შეხედულებებს, გააზრებული აქვს გუნდური მუშაობის უპირატესობა;<br>• აქვს სხვადასხვა ქვეყნების კულტურული მრავალფეროვნებისა და ტრადიციების პატივისცემის უნარი;<br>• შეუძლია პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა– ჰუმანიზმი, მიუკერძოებლობა, კონფიდენციალობის დაცვა, ტოლერანტობა, პროფესიული კეთილსინდისიერება და სხვა;<br>აქვს სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და ბუნებრივი გარემოს მიმართ. |
| **დასაქმების სფეროები** | ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა. მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებად / განვითარებულ ქვეყანაში ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, საშუალოდ ცხრიდან ერთი ადამიანი სწორედ ამ სექტორშია დასაქმებული და ბოლო წლების განმავლობაში ამ კონკრეტულ ინდუსტრიაში 235 მილიონი სამუშაო ადგილია შექმნილი. იგი შედგება მრავალი სეგმენტისგან, რომელთა შორის, ძირითადია: სატრანსპორტო, განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, რეკრეაცია და გასართობი ინდუსტრია. ტურიზმი მრავალფეროვანი და კომპლექსურია, თითოეულ მიმართულებას მრავალი სამუშაო ადგილი და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა აქვს, როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორშიც.<br>ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმების შემდეგი შესაძლებლობებია:<br>• საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;<br>• აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი;<br>• აჭარის ტურიზმის სააგენტო;<br>• დაცული ტერიტორიების სააგენტო;<br>• დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები;<br>• კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;<br>• რეგიონული ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები; |

| | |
|---|---|
| | • ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები;<br>• ტურისტული ადგილების მენეჯმენტ ორგანიზაციები;<br>• შეხვედრებისა და ვიზიტორთა ბიუროები;<br>• ავიაკომპანიები;<br>• საკრუიზო კომპანიები;<br>• სახმელეთო ტრანსპორტის გამქირავებელი კომპანიები: ავტომობილებისა და ავტობუსების;<br>• რკინიგზა;<br>• განთავსების საშუალებები;<br>• ტურისტული კომპანიები;<br>• რესტორნები და კვების ობიექტები;<br>• კულტურულ მემკვიდრეობაზე და ისტორიულ ძეგლებზე ორიენტირებული საქმიანობა;<br>• ტურისტული სანახაობები და ატრაქციები;<br>• შეხვედრებისა და ღონისძიებების ინდუსტრია;<br>• გასართობი ინდუსტრია;<br>• აზარტული თამაშების ინდუსტრია;<br>• ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ასოციაციები;<br>• ტურიზმის სფეროში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ სააგენტოების მიმართულებები;<br>• ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნეს კვლევის კომპანიები;<br>• ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის საკონსულტაციო კომპანიები;<br>• ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ტრეინინგ ცენტრები;<br>• დასაქმების სააგენტოები ტურიზმი სფეროში;<br>• საგანმანათლებლო დაწესებულებები ტურიზმის მიმართულებით;<br>• არასამთავრობო ორგანიზაციები ტურიზმის მიმართულებით.<br><br>ტურიზმის ინდუსტრია დიდია და გამოირჩევა მრავალფეროვანი პოზიციების ფართო არჩევანით და ამ დარგში არსებულ კადრებს კარიერული წინსვლის დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს. |

| |
|---|
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** |

სამაგიტრო პროგრამით ტურიზმში შემოთავაზებული სასწავლო კურსები დაუფლება-სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.
განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.
სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მიმდინარე შეფასებებს;
- დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუასემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, კაზუსი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა საშინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

**შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:**

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**

სამაგისტრო პროგრამა ტურიზმში ითვალისწინებს მთელ რიგ სწავლების მეთოდების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში. პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ მოცემული ძირითადი მეთოდები და ასევე მოახდინონ ამ მეთოდთა შერწყმა. მოცემული ძირითადი მეთოდებია:

<u>მეთოდთა კლასიფიკაციის ვარიანტი A</u>

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი.
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.
5. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საწარმოო პრაქტიკა.

<u>მეთოდთა კლასიფიკაციის ვარიანტი B</u>

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
4. **თანამშრომლობითი** (cooperative) **სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
5. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
6. **შემთხვევის ანალიზი** (Case study) - ლექტორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს

კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

7. **გონებრივი იერიში** (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.
8. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
8. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
9. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი**
    - სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
    - სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
    - სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
    - **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას.ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
10. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
11. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს ლექტორს და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
12. **ელექტრონული სწავლება** (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:
    - დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს ლექტორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
    - ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს.

## პროგრამის სასწავლო კურსები

| სასწავლო კურსის დასახელება | სასწავლო კურსის აღწერა | სავალდებულო/ არჩევითი | ECTS კრედიტი | სწავლების სემესტრი |
|---|---|---|---|---|
| **თანამედროვე მენეჯმენტის კონცეფციები** | სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მენეჯმეტის თანამედროვე კონცეფციებისა და პრაქტიკული მიდგომების მიმოხილვა, მმართველობითი ფუნქციები, თანამედროვე საორგანიზაციო სტრუქტურები, ძალაუფლება და მართვის ტექნოლოგიები, მმართველობითი კონტროლის მეთოდები, "გადაწყვეტილების მიღების მეთოდები", კორპორატიული პოლიტიკა, კორპორატიული სტრატეგიების კონცეფციები, საორგანიზაციო გარემო, კორპორატიული პასუხისმგებლობა, საკადრო რესურსის მართვა, მოტივაციის თეორიები, ლიდერობის სტილი, დამაკავშირებელი პროცესები, ორგანიზაციის გარდაქმნის კონცეფციები. | სავალდებულო | 6 | I |
| **საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგი** | სასწავლო კურსის შესასწავლი სალექიო თემები და სემინარები მოიცავს შემდეგ საკითხებს: საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგის მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები, მარკეტინგის თანამედროვე ტენდენციები, საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგული დაგეგმვისა და კონტროლის მეთოდოლოგია, მოთხოვნის პროგნოზირებისა და შეფასების მეთოდები, საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგული ორგანიზაციის მენეჯმენტი; ტურიზმის მარკეტინგის მართვა და კრიტიკული ანალიზი;<br>ტურიზმის სფეროში მარკეტინგული კვლევებისა და მოთხოვნის პროგნოზირების მეთოდები; ტურიზმის მარკეტინგის მართვისა და ბრენდინგის სტრატეგიების დამუშავების მეთოდიკა; მარკეტინგული დაგეგმვისა და კონტროლის, სამომხმარებლო და საქმიანი ბაზრების ანალიზის ხერხები და მეთოდები; ფასეულობის წინ წაწევისა და მარკეტინგული ინსტრუმენტების ორგანიზაციისა და მართვის მეთოდები; ტურიზმის სფეროში ეფექტიანი მარკეტინგის ორგანიზაციის თანამედროვე პროცესები. | სავალდებულო | 6 | I |
| **საერთაშორისო ტურიზმი და გლობალური ტურიზმის გეოგრაფია** | შესასწავლი კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საერთაშორისო ტურიზმის მარეგულირებელი0 ორგანიზაციები; საერთაშორისო ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პრობლემები და თანამედროვე ტენდენციები; მსოფლიო ტურისტული რესურსების გეოგრაფია; საერთაშორისო ტურიზმის ინფრასტრუქტურა; ტურისტულ-რეკრეაციული მაკრორეგიონებისა და | სავალდებულო | 6 | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რეგიონების ტურისტული პოტენციალი; საერთაშორისო ტურიზმის სტრატეგიული განვითარების მოტივატორები; გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, ეროვნული განსხვავებების, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, განათლებისა და კულტურული ცვლილებების ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; ეთიკური პრობლემები გლობალურ ბიზნესში, გლობალური ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები; საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური და თანამედროვე თეორიები, მსოფლიო ვაჭრობის სისტემის განვითარების ტენდენციები; უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოძრაობის ტენდენციები, საქართველოს ინტეგრირება საერთაშორისო ტურიზმში. | | | |
| **ტურიზმის, სასტუმროსაა და სერვისის ინდუსტრია** | კურსში განხილულია ტურიზმის კონცეპცია და განვითარება; ტურისტული პროდუქტის - ტრანსპორტი, განთავსება/კვება, ატრაქციები და მომსახურება; მოგზაურობის მოტივაცია, საქართველოს ტურისტული ბაზარი; ტურიზმის ეკონომიკური გავლენა სოციალურ-კულტურულ და გარემოსდაცვით მახასიათებლებზე. ტურისტული რესურსების მართვა, ეკოლოგიური საფრთხეები; ტურისტული ატრაქციები; ეროვნული და ადგილობრივი ღირსშესანიშნაობანი; კულტურულ მემკვიდრეობითი ტურისტული პროდუქტის განვითარების თავისებურებანი; სპორტული ტურიზმის ნაირსახეობანი; აქტიური შვებულების ტიპები; სპორტული ტურიზმის უპირატესობანი; ტურისტული სტატისტიკა; დასაქმება ტურიზმში; ტურისტული ინვესტიციები; კარიერის შესაძლებლობანი ტურიზმში: კარიერული წინსვლის გზები; სტაჟირება და კვალიფიკაციის ამაღლება; საჰაერო/საკრუიზო/ავტობუსების/სარკინიგზო და საავტომობილო მოგზაურობა; განთავსება; ტუროპერატორები; სახმელეთო მომსახურების აგენტები; მსხვილი ტურ ოპერატორები; სამოგზაურო ინდუსტრია; სამოგზაურო სააგენტოები; მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისობა; კომპიუტერული სისტემები; საჰაერო გადაზიდვები; განთავსება/შვებულება; კორპორატიული/ბიზნეს მოგზაურობები ტუროპერეიტინგი; ჯგუფური მოგზაურობა; მოგზაურობის დაზღვევა; ტურიზმის მარკეტინგი და პრომოუშენი; ტურიზმის მარკეტინგის დონეები; პროდუქტის საციცოცხლო ციკლი და მარკეტინგული კომუნიკაციის სახეები. | სავალდებულო | 6 | I |
| **ლიდერობა** | საბაზრო ეკონომიკა მაღალ მოთხოვნებს უყენებს ორგანიზაციების კვალიფიციურ მართვას. უმაღლესი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ეფექტური სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია, რომელიც ორიენტირებულია საბაზრო ურთიერთობათა შემდეგ კრიტერიუმებზე: | სავალდებულო | 6 | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ლიდერობის თანამედროვე თეორიები და მიდგომები; ლიდერობის კონცეპტუალიზაციის გზები; ლიდერისათვის აუცილებელი მახასიათებლები, უნარები და კომპეტენციები; გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპები; ეფექტიანი გუნდური მუშაობისთვის აუცილებელი ფაქტორები; გენდერისა და ლიდერის იმპლიციტური ასოციაციები; ეფექტიანი ლიდერული ქცევის ხელის შემშლელი ფაქტორების განსაზღვრა; გუნდური მუშაობისათვის ხელის შემშლელი ფაქტორების თავიდან აცილება; ეფექტიანი გუნდის ჩამოყალიბება; ორგანიზაციაში არსებული ლიდერობის სტილის კრიტიკული შეფასება; ლიდერობის თეორიების შედარებითი ანალიზი; ლიდერობისთვის რელევანტური მოდელისა და შეფასების ინსტრუმენტის მისადაგება. | | | |
| **ტურიზმის სახელმწიფო და საერთაშორისო რეგულირება** | კურსში განხილულია: ტურიზმის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომები; გლობალური ტურიზმის განვითარების ტენდენციები; ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპები; საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციები; ტურიზმის საერთაშორისო რეგულირება; ტურიზმის სართაშორისო ორგანიზაციები; ტურიზმის საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები: ტურიზმის ქარტია; ტურიზმის გლობალური ეტიკის კოდექსი; ჰააგის დეკლარაცია; მანილის დეკლარაცია მსოფლიო ტურიზმის შესახებ; საერთაშორისო სასტუმრო კონვენცია; ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები; ტურიზმის ინსტიტუციონალური მოწყობა (ეროვნული ორგანიზაციები მსოფლიოს ქვეყნებში); სახელმწიფოს როლი ტურიზმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში; ტურიზმის განვითარების სამთავრობო ღონისძიებები და მათი აქტუალობა ქვეყნის ზოგადი პოლიტიკის ჩარჩოებში; სახელმწიფოს როლი და ტურიზმის საკანონმდებლო უზრუნველყოფა ევროკავშირის ქვეყნებში; ტურისტული რესურსების დაცვის პოლიტიკა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო, ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს საკანონმდებლო ბაზა; კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო, ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს საკანონმდებლო ბაზა; ტურპროდუქტის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა; ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მომხმარებლის უფლებების დაცვა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში; საქართველოს ტურიზმის განვითარების კონცეფციები; საქართველოში ტურიზმის განვითარების და სტრატეგიული მიმართულებები; საქართველოში ტურიზმის ინსტიტუციონალური მოწყობა და საერთაშორისო ურთიერთობები; საქართველოს, როგორც ტურისტებისათვის მიმზიდველი ქვეყნისა და | სავალდებულო | 6 | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ქართული ტურისტული პროდუქტის პოზიციონირება საერთაშორისო დონეზე; სახელმწიფოს ტურიზმის საინვესტიციო პოლიტიკა; ეთიკური რეგულაციები ტურიზმის სფეროში; | | | |
| **მმართველობითი აღრიცხვა და კონტროლი** | კურსში განხილულია შემდეგი თემები: საწარმოს/კორპორაციის მართვის საინფორმაციო სისტემა; მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის წყაროები; მმართველობითი აღრიცხვისა და შიდა კონტროლის მახასიათებლები; კაპიტალდაბანდებების და ხარჯების ბიუჯეტირებისა და კონტროლის მექანიზმები; საწარმოს/კორპორაციის საქმიანობის მმართველობითი აღრიცხვისა და ფინანსური აღრიცხის ანალიზი; საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანიზაციები; საზღვარგარეთის ქვეყნების ფინანსური კონტროლის თანამედროვე მდგომარეობის სამართლებრივი და ფინანსური უზრუნველყოფის მახასიათებლები; სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა და საჯარო დაწესებულებების კონტროლინგი: შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ასპექტები; აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები, აუდიტორული შემოწმების მიდგომები და ტექნოლოგიები. | სავალდებულო | 6 | II |
| **ტურიზმი და გარემოს მენეჯმენტი** | კურსში განხილულია ტურიზმის განვითარება მოგზაურობიდან ეკოტურიზმამდე; ბუნებათსარგებლობა ეკოტურიზმში; ტურიზმისა და გარემოს ერთიერთქმედება; ბუნებრივი რესურსები; დაცული ტერიტორიები; საქართველოს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება და კულტურული მემკვიდრეობა; გარემოსდაცვითი პოლიტიკა; კლიმატის ცვლილების გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და ახალი ენერგეტიკული ტექნოლოგიები და პოლიტიკა; ძირითადი გარემოსდაცვითი პრობლემები საქართველოში. გარემოს დაცვის ალტერნატივა; ეკოტურიზმის ძირითადი დესტინაცია: ტურისტთა ნაკადების მართვის ღონისძიებები, დაგეგმვისა და მართვის სტრატეგიები ტურიზმის ზემოქმედების შემცირების მიზნით; ეკოტურიზმის მენეჯმენტი, მარკეტინგი, ეკონომიკა; მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები რეგიონში ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის ტურიზმის ეკონომიკა დაცულ ტერიტორიებზე; ეკოტურისტული ბაზრის განვითარების თანამედროვე ფაქტორები; გარემოს დაბინძურების მინიმიზაციის ტექნოლოგიები ეკოტურიზმში; საერთაშორისო კონვენციები. | სავალდებულო | 6 | II |
| **ტურიზმის კვლევა, ანალიზი და პროგნოზი** | სასწავლო კურსი მოიცავს თემებს: ტურიზმის სტატისტიკის მნიშვნელობა, ტურიზმზე მოთხოვნა: ვიზიტორის და ტურისტული მგზავრობის მახასიათებლები; ტურიზმის დანახარჯები; ტურისტული მიწოდება; დასაქმება ტურიზმის ინდუსტრიაში; ტურიზმის კავშირი მაკროეკონომიკურ | სავალდებულო | 6 | III |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მაჩვენებლებთან; ტურიზმი და გარემოს დაცვა; ტურიზმის სატელიტური ანგარიშები; განთავსების საშუალებების სტატისტიკა; შიდა ტურიზმის სტატისტიკის შეგროვება; პროგნოზირების მეთოდოლოგია ტურიზმში. | | | |
| **ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი** | სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს ტურიზმის დაგეგმვისა და მდგრადი განვითარების პრინციპები; საქართველოს, ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები ტურიზმში; გააცნოს ტურიზმის საერთაშორისო და სახელმწიფო საკანონმდებლო ბაზა, სახელმწიფოს როლი ტურიზმის ბიზნესში და ადმინისტრაციული არქიტექტურის რელევანტური საკითხები, საქართველოს ტურიზმის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, ტურიზმის განვითარების მოდელები და სტრატეგიები.<br>გამოუმუშავოს ტურიზმის ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე დაგეგმვისა და საკანონმდებლო ბაზისადმი კომპლექსური ხედვა, სიტუაციის კრიტიკული ანალიზის, ინდივიდუალური მუშაობისა და სიტუაციის ცვლილებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებათა მიღებისა და დარგის სხვადასხვა დონეებზე დიფერენცირებული მიდგომის უნარები. | სავალდებულო | 6 | III |
| **კვლევის წარმოების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები** | კურსი მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტებს სისტემური ცოდნა მეცნიერული კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების შესახებ. კურსის ფარგლებში სტუდენტები სიღრმისეულად შეისწავლიან მონაცემებისა და ინფორმაციის გასაანალიზებლად საჭირო უნარებს და კომპეტენციებს. კონკრეტული მეთოდების შესწავლის შემდეგ გამოყენებენ მათ კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. | სავალდებულო | 5 | III |
| **აკადემიური წერა** | სასწავლო კურსი მოიცავს აკადემიურ ტექსტზე მუშაობის პრინციპებს, წერის პროცესის შეფასებისა და წერისთვის მოსამზადებელი სამუშაოების სტრატეგიას. სტუდენტი ეუფლება უნარს, რათა ეფექტურად, სათანადო ლექსიკის გამოყენებით გადმოსცეს თავისი მოსაზრება, დაიცვას ლოგიკური თანმიმდევრობა, ნათლად და დამაჯერებლად წარადგინოს თავისი სათქმელი. სტუდენტი შეისწავლის საქმიანი წერილების შედგენის წესებს და მოთხოვნებს; საქმიანი მიმოწერის სახეობებს და შეძლებს შეადგინოს | სავალდებულო | 5 | III |
| **საწარმოო პრაქტიკა** | საწარმოო პრაქტიკა გულისხმობს ტურისტულ ბიზნესსა და ორგანიზაციებში სამუშაო პროცესში ჩართულობას, რომლის მიზანია უშუალოდ ოპერირებისა და მართვის პროცესების პრაქტიკული შესწავლა.<br>*იხ. დებულება დამტკიცებული პრეზიდენტის 2014 წლის 22 იანვრის # 01/01-08 ბრძანებით.* | სავალდებულო | 6 | III |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის ინდივიდუალური, დამოუკიდებელი კვლევის შედეგს, რომელსაც სტუდენტი ახორციელებს | სავალდებულო | 20 | IV |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ზედამხედველობით. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და კვლევის მეთოდოლოგიის არჩევა, აგრეთვე კვლევის წარმოება სტუდენტის პასუხისმგებლობის საგანია. სემესტრის განმავლობაში სტუდენტის რეგულარული კონტაქტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში უზრუნველყოფს კვლევითი მუშაობის პროგრესს და მაღალ ხარისხს.<br>სამაგისტრო ნაშრომის მომზადება გულისხმობს ტურიზმის სფეროში შესაბამისი თემის არჩევას, კვლევის მიზნისა და კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრას, კვლევის გეგმის შემუშავებას, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა მასალების მოძიებას, თეორიული ცოდნისა და ემპირიული მონაცემების კრიტიკული და სისტემური ინტეგრაციის საფუძველზე არჩეული კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით კვლევის განხორციელებას და მიღებული შედეგების წერილობითი სახით მომზადებას. სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტმა უნდა წარმოაჩინოს სპეციალიზაციის სფეროში ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები ან შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ნაწილი. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს ორიგინალურ და მანამდე გამოუქვეყნებელ სამეცნიერო ინფორმაციას. ნაშრომში მაგისტრანტმა უნდა შეძლოს პრობლემური საკითხის მეცნიერული მეთოდებით დამუშავება და შედეგების შინაარსობრივი, საგნობრივი და ენობრივი თვალსაზრისით დამაჯერებელი წარმოდგენა.<br>სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ასახულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციაში რომელიც განათავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.<br>*იხ. „სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, დაცვისა და მაგისტრის ხარისხის მინიჭების წესის შესახებ დებულება“.* | | | |
| **სერვის ინდუსტრიის ბიზნესი** | „სერვის ინდუსტრიის ბიზნესის“ კურსში განხილულია: სერვისი, როგორც სტუმართმომსახურების მისია და პროდუქტი სტუმართმომსახურების ბიზნესის ხედვა და პერსპექტივები სტუმართმომსახურება, მოგზაურობა და ტურიზმის მარკეტინგი; რეკლამა სტუმართმომსახურებისა და ტურიზმის ინდუსტრიაში; სერვისის, მოგზაურობისა და ტურიზმის ურთიერთქმედების ეფექტურობა; სტუმართმთმომსახურების ბიზნესი და გლობალიზაცია; დემოგრაფიული, სოციოეკონომიკური მიდგომა; ბიზნეს ურთიერთობები; ფსიქოლოგიური მოტივაცია, ტექნოლოგიური ინოვაციები; პოლიტიკური ზეგავლენა; განთავსების ინდუსტრიის დინამიკა; განთავსების საშუალებათა ევოლუცია და კლასიფიკაცია; განთავსების საშუალებათა საკუთრების ფორმები; სასტუმროების განვითარების ისტორია; სასტუმროს ფისკალური | არჩევითი | 6 | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ვალდებულებანი; სასტუმროს დიზაინი; სასტუმროს მენეჯმენტი და მართვა მმართველობითი სტრუქტურა; საკადრო მენეჯმენტი; სასტუმროს ეფექტური და მომგებიანი მართვის უზრუნველყოფა.<br>კულინარული ბიზნესის განვითარების ისტორია; ამერიკული და ევროპული მაღალი კლასის მომსახურების ელემენტები; მენიუს დაგეგმვა და განვითარება; პროდუქციის შექმნის ციკლი; სოციალური საკითხები; სასმელების მენეჯმენტი; სასმელების მოხმარების ტენდენცია; ღვინო; ლიქიორი; მაგარი სასმელები; მენეჯმენტის პასუხისმგებლობა და ვალდებულებები; შეხვედრები, ღონისძიებები და გამოფენები; სტუმართმომსახურების ბიზნეს ორგანიზება განსაკუთრებულ ღონისძიებებსა და განსაკუთრებული შემთხვევებისთვის; დასვენება და სერვისი; ჯანმრთელობა და ფიტნესი - სტუმართმომსახურების ინდუსტრიაში; რეკრეაციული საშუალებები; სტუმართმომსახურების ინდუსტრიის მომავალი; დემოგრაფია, ტექნოლოგია და ინოვაციები; ეკონომიკის გლობალიზაცია; ეთიკის საკითხები სტუმართმომსახურების ბიზნესში; კონტაქტი კლიენტთან; სერვის პლუსი ბიზნესის მართვის კონცეფციების და თეორიების სრულყოფილად ათვისება, კრიტიკული აზროვნების გამომუშავება; პრობლემების გადაწყვეტისას თეორიული და პრაქტიკულ ცოდნის შეჯერება და მათი ეფექტური გამოყენება; მენეჯერის მომზადება, რომელიც შესძლებს სერვისის სფეროში აქტუალური პრობლემების გამოკვეთას და მათ ოპტიმალურ გადაწყვეტას; სამეცნიერო კვლევების ჩატარებას სტუმართმომსახურების ინდუსტრიასა და სერვისის დარგში; დარგობრივი კომპეტენციების განვითარება ბიზნესისა და მართვის ფუნქციონალურ სფეროებში; ბიზნესისა და მართვის თეორიებისა და კონცეფციების ცოდნა; ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ტენდენციების გაცნობიერება; სამართლებრივი საკითხების გაცნობიერება და ბიზნეს გარემოს ანალიზის უნარი. | | | |
| **ეფექტური ბიზნეს კომუნიკაცია** | კურსი ორიენტირებულია ისეთ თემებზე, როგორიცაა: კომუნიკაციური ფუნქციის არსი და სპეციფიკა; კომუნიკაციური პროცესის სტრუქტურული კომპონენტებისა და ძირითადი ეტაპების თავისებურებები; ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ფუნქცია ზეპირ ბიზნესკომუნიკაციაში; ეთნოცენტრიზმისა და სტერეოტიპიზაციის ფაქტორთა ანალიზი; კონფლიქტის მოგვარების ხერხები; საქმიანი შეხვედრების, ზეპირი პრეზენტაციისა და ინტერვიუს ჩატარების უნარ-ჩვევები; ინტერპერსონალური კომუნიკაციის მახასიათებლები; არავერბალური შეტყობინების სახეობათა თავისებურებები; წერითი ბიზნეს კომუნიკაციის საფუძვლები; წერითი პროცესის ფაზების ანალიზი; “ეკონომიურობის” ცნების | არჩევითი | 6 | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | არსი ბიზნესკომუნიკაციის კონტექსტში; ეფექტური წერილობითი შეტყობინების (საქმიანი წერილის, ოფიციალური და არაოფიციალური ანგარიშის, რეზიუმესა და რეკომენდაციის) კონსტრუირების ტექნიკა; დადებითი და უარყოფითი შინაარსის მქონე შეტყობინებათა ენობრივი და არქიტექტონიკული თავისებურებები; ადრესატის დარწმუნების სტრატეგიათა ტიპები. | | | |
| **ტურისტული ორგანიზაციების სტრატეგიული დაგეგმვა** | სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მოგზაურობისა და ტურისტული ორგანიზაციების სტრატეგიის მიზნები, ასპექტები და დაგეგმვის სტრუქტურა; დაგეგმვის ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ეკოლოგიური ასპექტები; ტურისტული ორგანიზაციების კომპეტენციები, რესურსები და კონკურენტული უპირატესობანი; ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების დაგეგმვა; ტურისტული ორგანიზაციების ფინანსური ანალიზი და შესრულების მაჩვენებლები; მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება; მაკროგარემო; მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მეთოდები; სტრატეგიის განხორციელება ტურისტული ორგანიზაციებისათვის; ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია; გაყიდვებისა და წარმოების გლობალიზაცია; პორტერის გლობალური ტიპის სტრატეგიები; ბაზარზე შესვლის გადაწყვეტილებები; სტრატეგიული მენეჯმენტი - აწმყო და მომავლის ტრენდები. | არჩევითი | 6 | II |
| **ტუროპერირებისა და ტურისტული სააგენტოების ბიზნესი** | სასწავლო კურსი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა და ტურიზმის მოტივაცია; ტურისტული სააგენტოს მართვა და ტუროპერირება; ტურისტული სააგენტოს წარმოშობა და განვითარება; ადგილობრივი და საერთაშორისო ტურაგენტები; ტურისტული სააგენტოს მენეჯმენტი; საცალო გაყიდვები; ტურისტული სააგენტო, როგორც კერძო ბიზნესი: ბაზრის კვლევა, დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო რეგულაციები, IATA-ს წესები და რეგულაციები, ოფისის ავტომატიზება; მარშრუტის დაგეგმვა;ასოციაციები და ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ ტურისტული სააგენტოებისა და მათი საქმიანობების წარმოჩინებას: IATO, TAAI, ASTA,WATA, PATA, FHRAI, UFTA; ტურისტული პაკეტი; რეკლამა და პრომოუშენი ტუროპერატორის საქმიანობაში; ფასწარმოქმნის მექანიზმები ტუროპერირების ბიზნესში; მმართველობითი პასუხისმგებლობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება: შემოსავლის გამომუშავების წყაროები; მუშაობა ძირითად მომწოდებლებთან; საჯაროობა და წარმოჩინება; თანამედროვე ბიზნეს ტენდენციები ტურისტული სააგენტოებისა და ტუროპერირების საქმიანობაში და სამომავლო პრობლემები. | არჩევითი | 6 | IV |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **E-ტურიზმი** | კურსში განხილულია თანამედროვე ელექტრონული ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გლობალური ტენდენციები; გაანალიზებულია XXI საუკუნის პირველი ათწლეულის საერთაშორისო სტატისტიკა და დასახულია დარგის განვითარების მოტივაციური ასპექტები; განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ინტერნეტის მიმართ. ინტერნეტი განიხილება როგორც მასობრივი ინფორმაციის უპირველესი საშუალება, ხოლო ელექტრონული ბიზნესი, როგორც ტრადიციული საინფორმაციო სისტემებისა და ბიზნესის საკვანძო სისტემების გაერთიანება ინტერნეტ მომხმარებელთან; ელექტრონული ტურიზმი განხილულია როგორც ურთიერთმოქმედი სფეროების: ელექტრონული კომერციის/ელექტრონული ვაჭრობის, ელექტროული მარკეტინგისა და ელექტრონული მიწოდების ერთობლიობა. დასაბუთებულია ის მიზეზები, რომლებიც კომპანიებს უბიძგებენ თავიანთი საქმიანობის ინტერნეტში გადატანისაკენ, აგრეთვე ის უპირატესობები/რისკები, რომლებიც კომპანიებს აღნიშნული მიზნების მიღწევის საშუალებაში ეხმარებიან ან აფერხებენ. | არჩევითი | 6 | IV |
| **საქართველოს ეთნოლოგია** | კურსი განხილულია ქართველი ხალხის გენეზისის პრობლემა და მათი განსახლების არეალი; ქართული ხალხური კულტურის მემკვიდრეობა; ქართველთა სარწმუნოება და რწმენა-წარმოდგენები; ქართველთა ტრადიციული სამეურნეო ყოფა; საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური მხარეები, ტრადიციული მატერიალური კულტურა, შინამრეწველობის დარგები, გამოყენებითი ხალხური ხელოვნება; ქართული-ხალხური სამზარეულო, სუფრის ადათ-წესი, სოციალური ყოფა და ნათესაური სისტემა; სოციალური ურთიერთობა; ქართული-ხალხური დღესასწაულები და სანახაობანი; ბავშვის აღზრდის ტრადიციები; ქართული სუფრის წესები და ტრადიციები; პურობა საქართველოს ეთნოლოგიური ტრადიციების მიხედვით; ქართული-ხალხური მედიცინა.<br>კურსი ორიენტირებულია თემებზე, რომელთა სიღრმისეული ცოდნა და გააზრება რელევანტური და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროფესიონალი ტურიზმის სპეციალისტისთვის, არამედ, კულტურულ/ისტორიული სფეროს სპეციალისტებისთვისაც და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ქართულ ეთნოსსა და კულტურას შორის არსებულ მიმართებათა თავისებურებები; ეთნოსის, როგორც სისტემის თავისებურებები; ქართული ეთნიკური სტერეოტიპის როგორც სინამდვილის ასახვის ერთიანი სისტემის, სოციალურობის ქართული ფენომენის საკითხებს. | არჩევითი | 6 | IV |
| **პროფესიული პრაქტიკა** | **პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობა:**<br>პრაქტიკაზე დაიშვება სტუდენტი, რომელიც დააგროვებს არანაკლებ 35 ECTS კრედიტს. | | | |